



## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1/92/19

22-03-2019

**„საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 24 იანვრის №9/3 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულებაში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“, „პ“ და „შ“ ქვეპუნქტების, 213-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და 216-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შოთა გომაძის 2019 წლის 19 მარტის №2-4624/19 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 24 იანვრის №9/3 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების“ (დანართი №1):

ა) მე-14 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და პარლამენტის აპარატის უფროსის ბრძანებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება.“;

გ) მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები:

„ი) საქართველოს პარლამენტისათვის საჭირო საბეჭდი პროდუქციის ბეჭდვის უზრუნველყოფა (დაკაბადონება, ფოტომასალისა და ტექსტობრივი მასალის რედაქტირება, დამუშავება, საბეჭდი და ელექტრონული ფაილების მომზადება);

კ) საქართველოს პარლამენტის პლენარული და ბიუროს სხდომებისა და პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულების სამსახურებრივი საჭიროებისათვის ტექსტობრივი და სხვა მასალების ქსეროასლების გადაღება და ამ მასალების ტირაჟირება.“;

დ) 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ბრძანება საჯაროდ გამოცხადდეს 2019 წლის 1 აპრილს და ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის თავმჯდომარე  
ირაკლი კობახიძე

